

თავი 9 კონსულტაციის პროცესი



სარჩევი

9	კონსულტაციის პროცესი.....	9-1
9.1	შესავალი.....	9-1
9.2	დაინტერესებულ მხარეებთან ადრეული და ამჟამინდელი შეთანხმებები.....	9-1
9.3	საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა.....	9-2
9.4	დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება.....	9-3
9.4.1	ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი მთავრობის ორგანოები.....	9-4
9.4.2	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დასახლებები.....	9-5
9.4.3	საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.....	9-7
9.4.4	სამეცნიერო საზოგადოება.....	9-7
9.4.5	საინფორმაციო საშუალებები.....	9-8
9.5	კონსულტაციები ESIA-ს სამუშაოს მასშტაბის ინფორმირებისთვის.....	9-8
9.5.1	ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.....	9-8
9.5.2	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დასახლებები.....	9-8
9.6	კონსულტაციების შედეგები საჯარო განხილვამდე.....	9-13
9.6.1	ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.....	9-13
9.6.2	პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები.....	9-14
9.7	კონსულტაციები ESIA-ს ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით.....	9-18
9.7.1	ინფორმაციის განსაჯაროება.....	9-18
9.7.2	საჯარო განხილვის გამოცხადება.....	9-19
9.7.3	გამოხმაურების მექანიზმები.....	9-20
9.7.4	საჯარო განხილვასთან დაკავშირებული კონსულტაციები - საჯარო შეხვედრები.....	9-20
9.8	კონსულტაციების შედეგების მონიტორინგი.....	9-21
9.9	ESIA-ს შემდგომი კონსულტაციები და მოლაპარაკებები დაინტერესებულ მხარეებთან.....	9-21

ცხრილები

ცხრილი 9-1:	ადგილობრივი მთავრობის სტრუქტურა.....	9-5
ცხრილი 9-2:	პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები.....	9-6
ცხრილი 9-3:	პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებთან გამართული საკონსულტაციო შეხვედრების დამსწრეთა ანალიზი.....	9-12
ცხრილი 9-4:	ზემოქმედებასთან დაკავშირებით ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი დაინტერესებული მხარეების მიერ დასმული საკითხები.....	9-14
ცხრილი 9-5:	პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების მიერ დასმული ძირითადი საკითხების შეჯამება.....	9-15
ცხრილი 9-6:	განცხადებები ESIA-საჯარო განხილვების შესახებ.....	9-19

ცხრილი 9-7: ESIA-სთან დაკავშირებული საჯარო შეხვედრები..... 9-20

სურათები

სურათი 9-1: საკონსულტაციო შეხვედრების დამსწრეთა დასაქმების შესახებ
მონაცემები 9-13

9 კონსულტაციის პროცესი

9.1 შესავალი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) განხორციელებისას, ნორმალური პრაქტიკა ითვალისწინებს კონსულტაციების წარმოებას დაინტერესებულ მხარეებთან (რასაც წინ უძღვება საჯარო განხილვა). დაინტერესებულ მხარეებთან შეიძლება ჩაითვალოს ის პირები, ორგანიზაციები და ორგანიზაციები, რომელთა ინტერესები შეიძლება მოექცეს შემოთავაზებული პროექტის ზემოქმედების ქვეშ და რომელთაც პროექტის დამტკიცებამდე და პროექტის დამტკიცების პროცესში, შესაძლოა ჰქონდეთ გავლენის მოხდენის შესაძლებლობა იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება პროექტის ადგილმდებარეობას, მშენებლობასა და ექსპლუატაციას. საჯარო განხილვისა და კონსულტაციების წარმოება აუცილებელია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების მთელი პერიოდის განმავლობაში და ასევე, ხშირად, პროექტის დამტკიცების შემდგომ და მისი ექსპლუატაციის პერიოდში.

წინამდებარე თავში წარმოადგენილია დაინტერესებულ მხარეთათვის საჯარო განხილვისა და მათთან კონსულტაციის საქმიანობა, რომელიც განხორციელდა WREP-SR ESIA-თვის (ქვემოთ გამოყენებული ტერმინი „კონსულტაცია“, მოიცავს, როგორც დაინტერესებულ მხარეთათვის საჯარო განხილვას, ასევე მათთან კონსულტაციებს). ESIA-ს ფარგლებში საკონსულტაციო საქმიანობა განხორციელდა საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმის (PCDP) შესაბამისად, რომელიც ESIA-ს პროცესის დასაწყისში შემუშავდა (იხ. ქვეთავი 9.3 და დანართი C).

სურათზე 3-1 წარმოდგენილია ეტაპები, რომლებზეც დაინტერესებულ მხარეებსა და ESIA-ს პროცესს შორის სხვადასხვა სახის ურთიერთმოქმედებები მიმდინარეობს. დაინტერესებულ მხარეთა სიმრავლის გამო (იხ. ქვეთავი 9.4) პროექტში ჩართულ დაინტერესებულ მხარეთა რაოდენობები და გამოყენებული რესურსების ინტენსივობა განსხვავდება ESIA-ს ეტაპის/საქმიანობის მიხედვით, თუმცა კონსულტაციების დიდი ნაწილი განხორციელდა ESIA-ს სამუშაოს მოცულობის განსაზღვრისა და საჯარო განხილვის ეტაპებზე.

9.2 დაინტერესებულ მხარეებთან ადრეული და ამჟამინდელი შეთანხმებები

ESIA-თან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები განხორციელდა დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენისთვის (WREP), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა (BTC), სამხრეთ კავკასიური მილსადენის (SCP) და სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოების პროექტის (SCPX) (და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურების) განხორციელებისთვის, ასევე სუფსის ტერმინალისა და სხვა სამშენებლო პროექტებისთვის, როგორცაა არა-საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელი რუსთავთან. SCPX ESIA-ის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პროგრამის დროს (2009-2012) ასევე წარმოდგენილი იყო თავდაპირველი ინფორმაცია WREP-SR პროექტის შესახებ. ამ პროგრამაში სხვებთან ერთად ჩართული იყო ცენტრალური და ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მილსადენის მარშრუტის გასწვრივ არსებული დასახლებები საქართველოში.

WREP-SR ESIA-სთვის კონსულტაციები (აღწერილია PCDP-ში (დანართი C) და წინამდებარე თავში) ჩატარდა 2016 წლის დასაწყისში WREP-SR ESIA-სთვის

ინფორმაციის შესაკრებად. შემდგომი კონსულტაციები ჩატარდა 2016 წლის ივნისში, ESIA-ს ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვის პროცესის ფარგლებში, ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მოსამზადებლად.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების პროგრამა აგებულია BTC, SCP და SCPX პროექტების განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე და BP-სა და დაინტერესებულ მხარეებს შორის უკვე არსებულ ურთიერთობებზე.

9.3 საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა

საერთაშორისო სამრეწველო სტანდარტებისა და პრაქტიკის და BP-ს მიერ ქვეყანაში ადრე (კერძოდ კი BTC, SCP და SCPX ESIA-ების განხორციელებასთან დაკავშირებით) შეძენილი პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, WREP ESIA-თან დაკავშირებით შემუშავდა საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა¹ (PCDP). კონსულტაციების პროგრამის მართვის სისტემის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა მომზადდა ESIA-ზე მუშაობის დაწყებისას. PCDP გეგმაში წარმოდგენილია დაინტერესებული მხარეები, განსახორციელებელი საკონსულტაციო საქმიანობა და მათი კავშირი ESIA პროცესის ძირითად ეტაპებთან. საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმის (PCDP) მიზანია ხელი შეუწყოს შემდეგი საკითხების უზრუნველყოფას:

- სათანადო ინფორმაციის დროულად მიწოდება დაინტერესებული მხარეებისთვის
- საკმარისი შესაძლებლობები იმისათვის, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა
- გამოხატონ საკუთარი აზრი და დამოკიდებულებები
- დაინტერესებულ მხარეთა აზრის და დამოკიდებულებების გათვალისწინება ESIA სამუშაოების განსაზღვრისა და პროექტის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

WREP-ის მიერ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების (HGA) მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ, დანართი 1 სახელწოდებით „ხელშეკრულება მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ“ (PCOA), WREP-SR პროექტის PCDP-ს საფუძველად დაედო შემდეგი დოკუმენტები:

- ევროკომისიის დირექტივა 85/337/EC კონკრეტული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ
- საქართველოს კანონმდებლობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებების განხორციელებასთან დაკავშირებით
- ESIA-ს ფარგლებში კონსულტაციების წარმოებასთან დაკავშირებით „მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის“ ძირითადი პრინციპები, რომლებიც მოცემულია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) შესრულების პირველ სტანდარტში (P-S 1) ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების

¹ საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმის შემუშავებისას, გათვალისწინებული იქნა IFC-ის „სახელმძღვანელო მითითებები ბუნებრივი და სოციალური საკითხების მიმოხილვის პროცედურასთან დაკავშირებით“, შენიშვნა F სახელწოდებით „სახელმძღვანელო მითითებები საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით“ (რომელიც უკვე არქივს ჩაბარდა) და IFC-ის მოწინავე პრაქტიკის სახელმძღვანელო სახელწოდებით "ბიზნესის უკეთესი პრაქტიკები საჯარო განხილვისა და კონსულტაციების მეშვეობით", რომელიც გამოცემულია 1999 წელს.

შეფასებისა და მართვის სისტემების შესახებ (და თანმხლები სახელმძღვანელო შენიშვნა)²

ამასთან, იგი მოიცავს BP-ს საერთაშორისო სახელმძღვანელო მითითებებს ESIA-ს ფარგლებში კონსულტაციების წარმოებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული მოთხოვნები და „მოწინავე პრაქტიკის“ პრინციპები, ერთობლიობაში, უზრუნველყოფს კონსულტაციების თავისუფალ, წინასწარ წარმოებასა და ინფორმირებულობას, შესაბამისი და სათანადო საპროექტო ინფორმაციის გამოქვეყნებაზე დაყრდნობით.

PCDP შემუშავდა როგორც მოქნილი, სამუშაო და „ცოცხალი“ დოკუმენტი, რომელიც ასევე ემყარება „მოწინავე პრაქტიკის“ პრინციპებს. ვინაიდან PCDP ESIA-ს ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს, სავსებით მოსალოდნელია, რომ მასში შეტანილი იქნება ცვლილებები, რადგანაც ნაკლებ სავარაუდოა, რომ ESIA-ს ფარგლებში გათვალისწინებული ყველა ღონისძიება ზედმიწევნით გეგმის მიხედვით განხორციელდეს. რიგ შემთხვევებში, შესწორებები შესაძლოა შეტანილი იქნას საკონსულტაციო ღონისძიებების წინასწარ დაგეგმილ მოცულობასა და ჩატარების დროსთან დაკავშირებით, მათი ESIA-ს საერთო პროცესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

თავდაპირველად, ESIA-ს ფარგლებში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებების დაწყებამდე, მომზადდა PCDP პროექტი და იგი გამოყენებული იქნა, როგორც საფუძველი იმ კონსულტაციებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავდა ESIA-ს სამუშაოს მოცულობასთან დაკავშირებით შემდგომი ინფორმაციის გავრცელებას. შემდგომში, ESIA-ს მსველობის პროცესში ცვლილებების მოთხოვნისამებრ მოხდა საჯარო განხილვისა და კონსულტაციების თავდაპირველი გეგმის განახლება და შესწორება. PCDP-ს საბოლოო ვარიანტი წარმოდგენილია დანართში C.

9.4 დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება

BP-ს და ESIA-ს კონსულტანტები ერთობლივად მუშაობდნენ იმ დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრაზე, რომლებთანაც აუცილებელია კონსულტაციების წარმოება. ეს მოხდა ადრე, WREP და მისი მიმდინარე ექსპლუატაციის დროს მიღებული გამოცდილების და საქართველოსა და იმ ადგილობრივი დასახლებების შესახებ მოპოვებული ცოდნის გამოყენებით, რომლებიც დასახლებული არიან WREP-SR პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისთვის შემოთავაზებული ადგილების მახლობლად.

აღნიშნული სამუშაოს დასრულების შემდეგ მომზადდა ძირითად დაინტერესებულ მხარეთა სია:

- ცენტრალური მთავრობის, რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
- პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები (ძირითადად, დასახლებული პუნქტები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივად მოქცეული იმ ტერიტორიის

² ამასთან, გათვალისწინებული იქნა რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია IFC-ის 2006 წლის დოკუმენტში „მიღებული გამოცდილება: ბაჟო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტი“, ნომერი 2. ვაშინგტონი, DC: IFC. IFC-ის „სახელმძღვანელო მითითებები ბუნებრივი და სოციალური საკითხების მიმოხილვის პროცედურასთან დაკავშირებით“, ბარათი F სახელწოდებით „სახელმძღვანელო მითითებები საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით“ (რომელიც უკვე არქივს ჩაბარდა).

საზღვრებში, რომელიც დადგენილ მანძილზე მდებარეობს WREP-SR პროექტის კომპონენტებიდან (როგორცაა მილსადენის შეცვლილი მონაკვეთები და მისასვლელი გზები)

- საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები
- სამეცნიერო საზოგადოება
- საინფორმაციო საშუალებები (გაზეთი, რადიო და ტელევიზია)
- BP-ს თანამშრომლები
- WREP-SR პროექტის პარტნიორები.

9.4.1 ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი მთავრობის ორგანოები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოთვლილია ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი ძირითადი დაინტერესებული მხარეები, რომლებიც დაყოფილია დამტკიცებულ პროცესში ფორმალური როლის მქონე დაინტერესებულ მხარეებად და WREP-SR პროექტში აღიარებულ ინტერესის მქონე მხარეებად.

<p>1. ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი დაინტერესებული მხარეები, რომელთაც ოფიციალური როლი გააჩნიათ ESIA-ს დამტკიცების პროცესში:</p> <ul style="list-style-type: none">- ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო (სამშენებლო ნებართვის გამცემი ორგანო)- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (MENRP), საქართველოში მთავარი გარემოსდაცვითი სამთავრობო უწყება (ამტკიცებს ESIA-ს ანგარიშს). გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული ერთი მთავარი განყოფილება: გარემოსდაცვითი ნებართვების განყოფილება და ორი მთავარი სააგენტო: გარემოს ეროვნული სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (GOGC) - საქართველოში კასპის ზღვის ნავთობის/ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების პროექტების სამთავრობო წარმომადგენელი (ამტკიცებს ESIA-ს და საინჟინრო პროექტის ცვლილებებს) <p>2. ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი დაინტერესებული მხარეები, რომელთაც აღიარებული ინტერესი გააჩნიათ WREP-SR პროექტთან დაკავშირებით:</p> <ul style="list-style-type: none">- ენერჯეტიკის სამინისტრო- სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ირიგაციის დეპარტამენტი)- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (რომელიც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს)- კავშირგაბმულობის ეროვნული კომისია- შინაგან საქმეთა სამინისტრო- რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (საავტომობილო გზების, მდინარეთა დაცვის დეპარტამენტები)- იუსტიციის სამინისტრო, მათ შორის სახალხო რეესტრის ეროვნული სააგენტო
--

ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელი დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ დანიშნული თანამდებობის პირები და არჩეული წარმომადგენლები იმ მხარეების და მუნიციპალიტეტების არჩეული წარმომადგენლები, რომლის ტერიტორიაზეც განხორციელდება WREP-SR პროექტის საქმიანობა. რეგიონული და ადგილობრივი მთავრობის ამჟამინდელი სტრუქტურა ნაჩვენებია ქვემოთ (იხ. ცხრილი 9-1).

ცხრილი 9-1: ადგილობრივი მთავრობის სტრუქტურა

სამთავრობო ორგანიზაცია	არჩეული წარმომადგენლები	დანიშნული წარმომადგენლები
სახელმწიფო	პრეზიდენტი პარლამენტი	პრემიერ მინისტრი, მინისტრები
რეგიონები		რეგიონული მმართველი
თვითმმართველი ქალაქები	ქალაქის საბჭო - საკრებულო	მერი
მუნიციპალიტეტები	საკანონმდებლო საბჭო - საკრებულო არჩეული მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა მიერ უფროსი - საკრებულოს თავმჯდომარე არჩეული საკრებულოს წევრთა მიერ	აღმასრულებელი საბჭო – გამგეობა: წევრების დანიშვნა ხდება გამგებლის მიერ უფროსი – გამგებელი: დანიშნული საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, საკრებულოსთან შეთანხმებით
ქალაქები		მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი: (ექვემდებარება მუნიციპალიტეტს, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება)
ტერიტორიული ორგანო ¹	-	მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი: დანიშნული გამგებლის ან მერის მიერ
სოფელი	-	სოფლის სპეციალისტი

¹ ტერიტორიული ორგანოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს ერთი სოფელი, მაგრამ ჩვეულებრივ მასში რამდენიმე სოფელია გაერთიანებული

ამ პრინციპით განისაზღვრა აღნიშნული პროექტისთვის ადგილობრივი მთავრობის დაინტერესებულ მხარეებად შემდეგი ადგილობრივი სამთავრობო ორგანიზაციები:

- ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის და გურიის მხარეები
- თბილისი
- გარდაბნის, თბილისის, ცხვარიჩამიას, კორბოულის, მანდაეთის, სვერის, ნიგოზეთის, სუფსის და ღრმადელეს ტერიტორიული ორგანოები.

9.4.2 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დასახლებები

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლება (PAC) განისაზღვრება (BTC/SCP ESIA-ების პროცესში გამოყენებული განმარტების განახლებული ვერსიის მიხედვით), როგორც დასახლებული პუნქტი, რომელიც მდებარეობს ქვემოთ მოცემულ საზღვრებს შიგნით, ან გააჩნია ერთი დასახლებული შენობა-ნაგებობა მაინც, რომელიც მდებარეობს ამ საზღვარზე/საზღვრებს შიგნით:

- მილსადენი: 2კმ ღერძის ორივე მხარეს, რაც მთლიანობაში 4კმ სიგანის ზონას შეადგენს
- მისასვლელი გზები (ახალი ან განახლებული; დროებითი ან მუდმივი): 300მ ღერძის ორივე მხარეს, რაც მთლიანობაში 600მ სიგანის ზონას შეადგენს.

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების (PAC) განსაზღვრის მიზნით გამოყენებულ იქნა ორი მიდგომა. უპირველეს ყოვლისა, ზემოთ ჩამოთვლილი სასაზღვრო კრიტერიუმები; მეორე, აღნიშნულ საზღვრებს მიღმა იმ დასახლებების გათვალისწინება, რომლებიც მათ სიახლოვეს მდებარეობს. თითოეული ასეთი დასახლება ცალკე განხილვის საგნად იქცა და მათი მახასიათებლების გაანალიზება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით მოხდა:

- კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების რაოდენობა, რომელსაც ფლობენ ან ამუშავენ დასახლების მცხოვრებნი და იმ ნაკვეთების ზედაპირის საერთო ფართობი, რომლებიც მდებარეობს დადგენილ საზღვრებში
- დასახლების, ან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ზედაპირის ფართობი, რომელიც გამოიყენება როგორც დასახლების საკუთრებაში არსებული მიწა (მიუხედავად იმისა, დაფუძნებულია თუ არა ასეთი სარგებლობა იურიდიულ შეთანხმებაზე სახელმწიფოსა და დასახლებას შორის) და მდებარეობს დადგენილ საზღვრებს შიგნით
- წინა პერიოდში შექმნილი გამოცდილებისა და ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე, ESIA-ს ჯგუფის დასკვნით არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ მოცემული დასახლება, შესაძლოა, PAC -ში მოექცეს.

აღნიშნული სამუშაო განხორციელდა ESIA ჯგუფის მიერ, სოციალურ და მიწის საკითხებში BP-ს სპეციალისტებთან ერთად და გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, უნდა განისაზღვროს თუ არა დადგენილ საზღვრებს მიღმა მდებარე დასახლება, როგორც PAC, ხდებოდა თითოეული შემთხვევის გაანალიზების შედეგებზე დაყრდნობით.

თხუთმეტი დასახლება განისაზღვრა, როგორც PAC და დაემატა კონსულტაციების სამუშაოს მოცულობას (იხ. ცხრილი 9-2).

ცხრილი 9-2: პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

რეგიონი/ქალაქი	რაიონი/ქალაქი	ტერიტორიული ორგანო	PAC-ები	უახლოესი მონაკვეთი (ან მისასვლელი გზა)
თბილისი	თბილისი	გლდანის	სოფელი გლდანის	RR-001 & ARs
			გლდანულა	RR-001 & ARs
			ავჭალა 2	RR-001 & ARs
მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	ცხვარიჭამია	მამკოდა	RR-001 & ARs
იმერეთი	საჩხერე	კორბოული	შომახეთი	AR - PRS1
			კორბოული	AR - PRS1
	ჭიათურა	მანდაეთი	მანდაეთი	AR 223
			ტყემლოვანა	RR-004a
		სვერი	სვერი	RR-004a
		ნიგოზეთი	წყალშავი	AR - PRS1

რეგიონი/ქალაქი	რაიონი/ქალაქი	ტერიტორიული ორგანო	PAC-ები	უახლოესი მონაკვეთი (ან მისასვლელი გზა)
			უსახელო	AR - PRS1
			ზედა ბერეთისა	AR - PRS1
გურია	ლანჩხუთი	სუფსა	ხიდმაღალა	სუფსის კვეთა
			გრიგოლეთი	სუფსის კვეთა
		ღრმაღელე	წყალწმინდა	სუფსის კვეთა

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებთან (PAC) არსებული კონსულტაციები წარმოადგენდა ESIA-ს ფარგლებში განსახორციელებელი კონსულტაციების პროცესის ცენტრალურ კომპონენტს. მოლაპარაკება PAC-ებთან გაგრძელდება ESIA-ს შემდეგ, განახლებული WREP-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში.

9.4.3 საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები

ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც წარსულში მონაწილეობა აქვთ მიღებული აუდიტისა და მონიტორინგის პროგრამებში და რომლებმაც აქტიური ინტერესი გამოამყვანეს BP-ს საქართველოში საქმიანობის მიმართ, არასამთავრობო ორგანიზაციების წრეებთან ერთად პროექტის მთავარ დაინტერესებულ მხარეებად ითვლებიან. „BP საქართველოს“ გააჩნია იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა და იცის მათი ინტერეს(ებ)ის სფერო, რომლებიც წარსულში ან ახლა ჩაბმული ან დაინტერესებულნი იყვნენ/არიან BP-ს საქმიანობით.

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციის წრეებს, ასევე, გააჩნიათ ინფორმაციის გაცვლის/გაზიარების ქსელები და ჰყავთ პარტნიორი ორგანიზაციები, მათ შორის:

- კავკასიის გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი (<http://www.cenn.org/index.php>)
- კავკასიის რეგიონული გარემოს დაცვის ცენტრი (<http://www.rec-caucasus.org/index.php?lang=eng>)
- ევრაზიის პარტნიორობის ფონდი (<http://www.epfound.ge/english/about-us.html>)

არასამთავრობო ორგანიზაციების არსებული შიდა მონაცემთა ბაზები და/ან არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელები და პარტნიორობები, როგორც დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი, მოთხოვნის შესაბამისად, ჩართული იქნებიან WREP-SR პროექტის კონსულტაციებში.

9.4.4 სამეცნიერო საზოგადოება

აღიარებულ იქნა, რომ სამეცნიერო საზოგადოება უნდა ჩაერთოს WREP-SR პროექტში, რადგან ამ საზოგადოების წევრებს შეუძლიათ მთავრობის მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლებს კონსულტაცია გაუწიონ და რჩევა მისცენ ESIA ანგარიშის განხილვის პროცესში, ასევე „დამტკიცების“ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათ ასევე შეუძლიათ ზოგადად წვლილი შეიტანონ ESIA პროცესში.

საქართველოში სამეცნიერო წრეების ბევრი წარმომადგენელი არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობს, რადგან ეს არასამთავრობო ორგანიზაციები სამეცნიერო კვლევების პროექტებში არიან ჩართულნი. სამეცნიერო საზოგადოების ჩაბმა მოხდება

ინფორმაციის გაზიარებით არასამთავრობო ორგანიზაციების და GOGC-ს საშუალებით. (ანუ ვინც ESIA-ს ფორმალურად ამტკიცებს).

9.4.5 საინფორმაციო საშუალებები

BP-ს ურთიერთობა აქვს მედია ორგანიზაციებთან, რომლებიც მონაწილეობენ რეგულარულ ბრიფინგებსა და ინფორმაციის განახლებებში, როცა BP აცნობებს მათ საქართველოში თავისი საქმიანობის შესახებ. პროექტის შესახებ ინფორმაცია არსებული არხებით ვრცელდება. დამატებითი მედია ორგანიზაციების ჩართვა მოხდება არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელების შესახებ ინფორმაციის გაზიარების გზით (ამ ქსელებთან სხვადასხვა მედია ორგანიზაცია თანამშრომლობს).

9.5 კონსულტაციები ESIA-ს სამუშაოს მასშტაბის ინფორმირებისთვის

აღნიშნული კონსულტაციები მოიცავდა ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებს (PAC-ები), როგორც ეს განსაზღვრულია ქვეთავში 9.4.2.

9.5.1 ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები

ცენტრალური მთავრობის ორგანოები მოიცავს დამტკიცების უფლების მქონე სახელისუფლებო უწყებებსა და იმ ორგანოებს, რომელთაც კანონიერი ინტერესი გააჩნიათ WREP-SR პროექტისა და მისი სავარაუდო ზემოქმედების მიმართ. ადრე განხორციელებული კონსულტაციების შემდეგ, უშუალოდ ამ ორივე სახის სამთავრობო ორგანოებთან გაიმართა არაერთი პირისპირ განხორციელებული შეხვედრა:

- ერთი შეხვედრა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის (GOGC), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლებთან
- ორი შეხვედრა UNESCO-სთან და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან.

კომპანია პროექტის წარმომადგენლებმა შეადგინეს ამ შეხვედრების ოქმები და ჩანიშნული საკითხები დაემატა იმ საკითხთა საერთო სიას, რომლებიც ჩართული უნდა იქნას ESIA-ში. აღნიშნული შეხვედრები ჩატარდა 2016 წლის იანვარში.

9.5.2 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დასახლებები

მილსადენებისთვის ადრე განხორციელებული ESIA-ს შესაბამისად, გადაწყდა, რომ კონსულტაციები უნდა გაიმართოს 13 PAC-დან თითოეულ დასახლებასთან, მათი წარმომადგენლების მხრიდან მონაწილეობის მიღების სურვილისამებრ. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დასახლებების ტერიტორიული განაწილების გამო, კონსულტაციების წარმოება მოხერხდა მხოლოდ სამი საკვანძო ღონისძიების განხორციელების შემდეგ, ესენია: სტრატეგიის მომზადება კონსულტაციების წარმოებისათვის გეოგრაფიულად გაფანტულ დასახლებებთან, რომლებიც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცნენ; ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება; და რეგიონული და მუნიციპალური/ქალაქის ხელისუფლების გაფრთხილება.

PAC კონსულტაციების სტრატეგია

ESIA-ს ფარგლებში მილსადენების წინა სამუშაოებში წარმატებით შესრულდა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დასახლებების კლასტერულ ჯგუფებად დაყოფის სტრატეგია. ამიტომ გადაწყდა ანალოგიური მიდგომის გამოყენება WREP-SR პროექტისთვის და თითოეულ ტერიტორიულ ორგანოში ჩატარდა ერთი შეხვედრა. საერთო ჯამში ორგანიზებული იქნა 7 კლასტერული საკონსულტაციო შეხვედრა.

საკონსულტაციო შეხვედრებისთვის განხილული იქნა რამოდენიმე ვარიანტი:

- საჯარო შეხვედრები თითოეულ კლასტერულ ჯგუფში
- საჯარო შეხვედრების შემდგომ ფოკუს ჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება მთავარი „საარსებო ინტერესები“ (მაგალითად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა) და „სოციალური კატეგორიები“, როგორცაა ქალები და სოციალურად დაუცველი ჯგუფები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თითოეული კლასტერული დასახლებიდან
- არასაჯარო შეხვედრები თითოეული PAC-ის შერჩეულ წარმომადგენლებთან.

მოყვანილი ვარიანტების ძლიერი და სუსტი მხარეები განხილული იქნა როგორც საკონსულტაციო პროცესის ეფექტურობის თვალსაზრისით, ასევე შეზღუდული დროის/რესურსების კონტექსტში. გადაწყდა რიგი არასაჯარო შეხვედრების ჩატარება წინასწარ შერჩეულ და მოწვეულ პირებთან, რომლებიც PAC მცხოვრებთა და მათი ინტერესების შესაფერის წარმომადგენლებად იქნენ მიჩნეული.

მილსადენისთვის და კერძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისთვის ადრე განხორციელებული ESIA-ების შედეგად 'მიღებული გამოცდილების' გათვალისწინებით, შეხვედრების განრიგი შემუშავდა იმგვარად, რომ BP ყველა შეხვედრებზე აქტიურად ყოფილიყო წარმოდგენილი. ამგვარად, თითოეულ საკონსულტაციო შეხვედრას ეწვრებოდა სოციალური ან მიწის რეგისტრაციის საკითხების ჯგუფის წევრი (ჩვეულებრივ, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი და/ან სპეციალისტი მიწის საკითხებში) და ზოგჯერ ორივე ჯგუფის წევრები. BP-ს აღნიშნული სპეციალისტები კარგად იცნობენ PAC-ებთან დაკავშირებულ საკითხებს და WREP-SR პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, წარმომადგენენ BP-ს, რომელთაც PAC-ის მცხოვრებნი, სავარაუდოდ, შეხვდებიან თავის დასახლებაში ან დასახლებების მახლობლად. მათი დასწრება შეხვედრებზე ნიშნავდა, რომ PAC-ის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია/პასუხი მათ მიერ დასმულ შეკითხვებზე უშუალოდ პროექტის წარმომადგენელისგან და არა მესამე მხარისაგან.

შეხვედრის მონაწილეებისათვის საკმარისი დროის გამოყოფის მიზნით, რაც ხელს შეუწყობდა შეხვედრის წარმატებით ჩატარებასა და წახალისებდა მათ მონაწილეობას, გადაწყდა, რომ თითოეული PAC-დან შეხვედრაში მონაწილეობა მიეღო მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს (ან მის შემცვლელს, თუ რწმუნებულს თავად არ შეეძლო შეხვედრაზე დასწრება) და PAC-ის 4-დან 7-მდე მცხოვრებს. PAC-ის სასურველი მცხოვრებნი იყვნენ:

- სკოლის დირექტორი ან მასწავლებელი
- კლინიკის/საავადმყოფოს ექიმი ან ექთანი
- ფერმერი, მეფუტკრე, მაღაზიის მფლობელი, დურგალი ან სხვა წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის შეხვედრებისამებრ (ანუ რომელიმე მუდმივად მცხოვრები პირი - რეზიდენტი, რომელიც PAC-თვის

მნიშვნელოვანი, საარსებო საშუალებების უზრუნველყოფელი საქმიანობის წარმომადგენელი იქნება)

- 17-22 წლამდე ასაკის ახალგაზრდა (მაგალითად სკოლის მოწაფე/სასწავლებლის სტუდენტი)
- იძულებით გადაადგილებული პირი (IDP)/ლტოლვილი; ან აღრიცხვაზე აყვანილი შეზღუდული შესაძლებლობების, ან ქრონიკული დაავადების მქონე პირი
- სათემო ორგანიზაციების ან ადგილობრივი საზოგადოებების უფროსი ან ხანგძლივი პერიოდით მცხოვრები წევრები.

რეზიდენტთა ეს „კატეგორიები“ ზოგადი ხასიათისაა; გაირკვა, რომ ყველა PAC-ს არ გააჩნია ჩამოთვლილი ყოველი კატეგორიის წარმომადგენელი რეზიდენტი.

ამასთანავე, გადაწყდა, რომ PAC-ის ერთი რეზიდენტი ქალი მაინც უნდა იყოს წარმოდგენილი (სიიდან); ქალთა რაოდენობა თითოეული PAC-დან შეზღუდული არ არის. დადგინდა, რომ უმჯობესი იქნებოდა, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ცალკეული დასახლებების წარმომადგენელთა შერჩევის უფლების დატოვება ამ დასახლების მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლისთვის (ან თანაბარი უფლებამოსილების მქონე პირისთვის). თუმცა, საკონსულტაციო შეხვედრებზე მოწვევისთვის შესაფერისი რეზიდენტების არჩევაში დასახმარებლად შემუშავდა სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც საკონსულტაციო შეხვედრამდე დაურიგდა თითოეულ მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენს. მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი და გადაეცათ სახელმძღვანელო დოკუმენტი მთელი რიგი წინასაკონსულტაციო გასაცნობი შეხვედრების დროს. გასაცნობი შეხვედრების ხასიათი და როლი აღწერილია ქვემოთ.

საჯარო განხილვა

ინფორმაციის გამოქვეყნების ორი საშუალება იქნა გამოყენებული. პირველი, დასახლებებისთვის გამოიცა ბროშურა ქართულ (და ინგლისურ) ენაზე. აღნიშნულ ბროშურაში წარმოდგენილი იყო ძირითადი დაწვრილებითი ინფორმაცია (ტექსტი და რუკები) WREP-SR პროექტისა და ESIA-ის პროცესის შესახებ. მითითებული იყო კომპანია BP-ს მისამართი და ტელეფონის ნომერი, რაც უზრუნველყოფდა ნებისმიერ დროს WREP-SR პროექტთან დაკავშირებით შენიშვნებისა და განმარტებების BP-სთვის მიწოდების საშუალებას და არა მხოლოდ „ფორმალური“ საკონსულტაციო ღონისძიებების კონტექსტში. ბროშურების გავრცელება მოხდა ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან გასაცნობ შეხვედრებზე.

გასაცნობ შეხვედრებზე PAC-ის ოფიციალურ წარმომადგენლებს მიმართეს თხოვნით, რომ მათ ბროშურის ასლები დაეტოვებინათ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სადაც ისინი ხელმისაწვდომი იქნებოდა PAC-ების მცხოვრებთათვის.

მეორე, ყოველი საკონსულტაციო შეხვედრის დასაწყისში იმართებოდა WREP-SR პროექტის მოკლე პრეზენტაცია, მას მოჰყვებოდა სესიები, რომლის პროცესშიც დამსწრეებს დასაზუსტებელი შეკითხვების დასმის შესაძლებლობა ეძლეოდათ. ასე ინფორმაცია მიეწოდებოდათ მათ, ვისაც საკონსულტაციო შეხვედრაში მონაწილეობის მიღებამდე ბროშურის წაკითხვისა და WREP-SR პროექტთან დაკავშირებული საკითხებში გარკვევის საშუალება რეალურად არ ქონდათ. შეხვედრების დროს სესიები ხშირად WREP-SR პროექტთან დაკავშირებული საკითხების, მოსაზრებებისა და შეშფოთებების უფრო ზოგად დისკუსიებში გადაიზრდებოდა.

გაცნობითი შეხვედრები

ჩატარდა მთელი რიგი გაცნობითი შეხვედრები იმ რაიონებში, სადაც იგეგმება WREP-SR პროექტის განხორციელება. ამგვარი შეხვედრები ორ მთავარ მიზანს ისახავდა: WREP-SR პროექტისა და ESIA-ის შესახებ ინფორმაციის შეტყობინებას ძირითადი დანიშნული ოფიციალური პირებისა და არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის წევრებისათვის და PAC-ების დონეზე მუნიციპალურ მუშაკთა (მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები) მხარდაჭერისა და თანამშრომლობის მოსაძიებლად შეხვედრების მომზადებაში და შემდგომ შეხვედრებში მონაწილეობის მიღების თხოვნას.

გაცნობითი შეხვედრების ძირითადი ელემენტი იყო მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებისა და სხვა ოფიციალური პირების მხარდაჭერისა და დახმარების მოპოვება საკონსულტაციო შეხვედრებისთვის. მიწოდებული იქნა ინფორმაცია და ჩატარდა ინსტრუქტაჟი შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- შეხვედრების ადგილმდებარეობა/დრო
- შეხვედრების ფორმატი და ნუსხა
- ამგვარი შეხვედრების როლი ESIA-ს განხორციელების პროცესისთვის
- PAC-ების იმ მცხოვრებთა რაოდენობა და ტიპი, რომლებიც შეხვედრებზე დასასწრებად უნდა იყვნენ მოწვეულნი.

გაცნობით შეხვედრებს ესწრებოდნენ BP-ს თანამშრომლები და მათი ორგანიზება ხდებოდა PAC-ებთან საკონსულტაციო შეხვედრებამდე ერთი კვირით ადრე. გასაცნობ და საკონსულტაციო შეხვედრებს შორის ერთკვირიანი ინტერვალი შეირჩა, რაც ერთის მხრივ, უზრუნველყოფდა საკმარის დროს იმისათვის, რომ PAC-ებს ბროშურაში მოცემული ინფორმაციის წაკითხვის, გააზრების, განხილვის და საკუთარი აზრის ჩამოყალიბების შესაძლებლობა ჰქონოდათ და მეორეს მხრივ, კონსულტაციები გაცნობიდან საკმაოდ მოკლე ვადაში გამართულიყო, რომ შეხვედრების დამსწრეებს განსახილველი საკითხები გონებაში ნათლად დარჩენოდათ. შემდგომ, გაცნობით და საკონსულტაციო შეხვედრებს შორის პერიოდში ტელეფონის მეშვეობით მოხდა მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებთან დაკავშირება შეხვედრის ადგილის, დროისა და მონაწილეთა დასწრების კიდევ ერთხელ დასადასტურებლად.

საკონსულტაციო შეხვედრები PAC-ებთან

საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარდა 2016 წლის თბერვალში თვეებში, სხვადასხვა დროს, სამუშაო დღის განმავლობაში. მუნიციპალური მუშაკების ჩართულობა მოიცავდა შეხვედრებისთვის ადგილისა და დროის გამოყოფას და შერჩეულ მონაწილეთა მიერ დასწრების დადსტურებაში დახმარების გაწევას.

ყველა შეხვედრა მიმდინარეობდა სტანდარტული ნუსხის შესაბამისად, ქართულ ან რუსულ ენებზე მონაწილეთა უმრავლესობის ეთნიკური წარმოშობის მიხედვით. შეხვედრებს გახსნილად აცხადებდა მასპინძელი მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი (ან თანაბარი უფლებამოსილების მქონე პირი) და ESIA-ს ჯგუფის ადგილობრივი წევრი უძღვებოდა. WREP-SR პროექტის პრეზენტაციისა და კითხვა/პასუხის რეჟიმში გამართული სესიის შემდეგ, შეხვედრის გრაფიკის დიდი დრო დაეთმო WREP-SR პროექტის განხორციელების შედეგად დასახლებებზე/მცხოვრებებზე შესაძლო ზემოქმედებასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებების, საკითხებისა და შეშფოთების განხილვას.

შეხვედრის მსვლელობის დროს, ESIA-ს ჯგუფის მეორე ადგილობრივი წევრი აწარმოებდა ჩანაწერებს. თითოეული შეხვედრის შემდეგ მზადდებოდა 'ოქმები', რომელშიც მითითებული იყო დაწვრილებითი ინფორმაცია შეხვედრის (თარიღი, დრო, ადგილი) და მონაწილეების შესახებ (მაგ., სახელი და გვარი, სქსი და საქმიანობა) და ძირითადი საკითხები და გამოთქმული შეშფოთება. წამოყენებული საკითხების მოკლე მიმოხილვა მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 9-5).


ქვემოთ წარმოდგენილია PAC-ებთან ყველა საკონსულტაციო შეხვედრაში მონაწილეთა მიმოხილვა (იხ. ცხრილი 9-3 და სურათი 9-1). აქ გამოყოფილია შემდეგი მთავარი პუნქტები:

- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი 15-ვე დასახლება წარმოდგენილი იყო შეხვედრებზე
- სუფსაში მცხოვრებნი ასევე ესწრებოდნენ საკონსულტაციო შეხვედრებს, რომლებიც მათ თემში გაიმართა
- შეხვედრებს დაესწრო PAC-ების 127 მცხოვრები და მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები (ან მათთან გათანაბრებული პირები) (ასევე 7 ადამიანი სუფსადან). საშუალო დასწრების დონემ შეადგინა 18 (6 ქალი) მონაწილე, ყველაზე დაბალი დასწრების დონე იყო 8 და ყველაზე მაღალი - 23 ადამიანი.
- მონაწილეთა დაახლოებით 35% იყვნენ ქალები (რაც შერჩევასთან დაკავშირებით ადგილობრივი მუნიციპალური მუშაკებისთვის მიცემულ სახელმძღვანელო მითითებებში დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებზე მეტი იყო). ქალები ესწრებოდნენ ყველა შეხვედრას, მანდაეტში ჩატარებული შეხვედრის გარდა
- მონაწილეთა დაახლოებით 5% იყვნენ სტუდენტები და 5% - პენსიონერები
- მონაწილეთა დაახლოებით 19% მიეკუთვნებოდა "უმუშევართა" ჯგუფს
- მონაწილეთა მხოლოდ 2 p (c. 2%) იყო დასაქმებული სოფლის მეურნეობაში
- მონაწილეთა დაახლოებით 41% დასაქმებული იყო ადგილობრივ ბიზნესში, 22% განათლების სფეროში და 3% - ჯანდაცვაში
- მონაწილეთა დაახლოებით 18% იყო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი და 2% არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი
- მონაწილეთა დაახლოებით 7%-მა არ მოგვაწოდა ინფორმაცია მათი დასაქმების სტატუსის შესახებ.

ცხრილი 9-3: პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებთან გამართული საკონსულტაციო შეხვედრების დამსწრეთა ანალიზი

ადგილი	PAC-ები /შეხვედრა	PAC-ების რაოდენობა	PAC-ის დამსწრეების საერთო რაოდენობა	დამსწრეები, რომლებიც არ იყვნენ PAC-ის წარმომადგენლები (იი.)	მამაკაცი	ქალი
გლდანი	სოფელი გლდანი გლდანულა აკჰალა 2	4	19		10	9
მამკოდა	მამკოდა	1	22		20	2
კორბოული	შომახეთი კორბოული	2	23		13	10
მანდაეთი	ტყემლოვანა მანდაეთი	2	18		18	0

ადგილი	PAC-ები /შეხვედრა	PAC-ების რაოდენობა	PAC-ის დამსწრეების საერთო რაოდენობა	დამსწრეები, რომლებიც არ იყვნენ PAC-ის წარმომადგენლები (იი.)	მამაკაცი	ქალი
ბერეთისა	წყალშავი უსახელო ზედა ბერეთისა	3	18		8	10
სვერი	სვერი	1	8		6	2
სუფსა	ხიდმაღალა წყალწმინდა გრიგოლეთი	3	19	სუფსა (7)	15	11
	სულ	15	127	7	90	44



სურათი 9-1: საკონსულტაციო შეხვედრების დამსწრეთა დასაქმების შესახებ მონაცემები

9.6 კონსულტაციების შედეგები საჯარო განხილვამდე

9.6.1 ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები

ზემოქმედებასთან დაკავშირებით ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი დაინტერესებული მხარეების მიერ 2016 წლის შეხვედრებზე დასმული საკითხების მოკლე მიმოხილვა წარმოდგენილია ქვემოთ (იხ. ცხრილი 9-4).

ცხრილი 9-4: ზემოქმედებასთან დაკავშირებით ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი დაინტერესებული მხარეების მიერ დასმული საკითხები

დაინტერესებული მხარეები	ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები
საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (GOGC)	<p>მოითხოვა და მიიღო დასტური, რომ RR-004a მონაკვეთი მდებარეობს ჭიათურის რაიონში.</p> <p>მოწოდებულია ინფორმაცია აბაშიდან ქობულეთამდე შემოთავაზებული მილსადენის სუფსის მონაკვეთის მდებარეობის შესახებ. ამის შემდეგ, მხარეებმა გაცვალეს GIS ფაილები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონსულტაციები იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაკმაყოფილდეს ორივე მილსადენის მიწისა და საინჟინრო პროექტის მოთხოვნები.</p> <p>სუფსაში GOGC-ს და BP-ს მილსადენებისთვის მიწის შეძენის და კომპენსაციის ერთიანი მიდგომის შემუშავება.</p> <p>RSK Environment-თან თანამშრომლობის დადასტურება ESIA-ს მოსამზადებლად.</p>
საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (GOGC), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და დაცული ტერიტორიების სააგენტო	<p>თბილისის ეროვნული პარკის განახლებული საზღვრების შესახებ ინფორმაციის მიღება. დადასტურდა, რომ RR-001 აღარ ხვდება თბილისის ეროვნული პარკის ფარგლებში</p> <p>ESIA-ს საბოლოო ვარიანტის დადასტურებულ ვარიანტი მზად უნდა იყოს საჯარო განხილვის თარიღიდან 1 წელში.</p>
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და UNESCO	<p>მცხეთის ლანდშაფტის დაცვის ზონის გადაკვეთა</p> <p>წარმოდგენილია GIS ფაილები WREP-SR მარშრუტის გადასახედად LPZ-სთან მიმართებაში.</p> <p>UNESCO-სგან თანხმობის მისაღებად ქმედებების შესახებ შემდგომი დისკუსიების გამართვა.</p> <p>პირდაპირი და ირიბი რისკები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ლანდშაფტისთვის.</p>

საკითხები, რომელიც წამოიჭრა ამ და ყველა სხვა საკონსულტაციო შეხვედრაზე გათვალისწინებული იქნა ESIA ანგარიშის მომზადებისას. მაგალითად, თბილისის ეროვნული პარკის სიახლოვეს და ლანდშაფტის დაცვის ზონაზე გამავალი მარშრუტის შერჩევა განხილულია ქვეთავში 4.4.

9.6.2 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

ყველა PAC-თან საკონსულტაციო შეხვედრების ოქმების განხილვის შემდეგ, შესაძლო ზემოქმედებასთან დაკავშირებით მომზადდა დასმული საკითხებისა და გამოთქმული შეშფოთების სინთეზი. სხვადასხვა შეხვედრებზე დასმული საკითხები და გამოთქმული შეშფოთება არსებითად ერთმანეთის მსგავსი იყო, მაგრამ სხვადასხვანაირად იყო გამოხატული. სინთეზი საშუალებას იძლევა ყველა საკითხს დაეთმოს ყურადღება და ადგილი არ ჰქონდეს გამეორებას. ძლისხმევა იქნა გაწეული იმისთვის, რომ ზეგავლენასთან დაკავშირებული რაიმე საკითხი ან პრობლემა არ დარჩენილიყო

ყურადღების მიღმა, გარდა ჰაერის ხარისხთან დაკავშირებული საკითხებისა სუფსის ტერმინალზე; ეს საკითხები არ იქნა განხილული, რამდენადაც ისინი არ არის დაკავშირებული WREP-SR პროექტთან. ქვემოთ წარმოდგენილია ზემოქმედებასთან დაკავშირებით PAC-ების მიერ დასმული საკითხების/გამოთქმული შეშფოთების სინთეზი (იხ. ცხრილი 9-5).

ცხრილი 9-5: პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების მიერ დასმული ძირითადი საკითხების შეჯამება

საკითხი	შეჯამებული შენიშვნები და კითხვები	კითხვის ავტორის ადგილმდებარეობა
განმარტებები პროექტის შესახებ	პროექტის ფარგლებში იგეგმება ახალი მილსადენის მშენებლობა თუ არსებულის შეცვლა?	მამკოდა, მანდაეთი
	რა მოცულობისაა სამუშაოები, რომელიც უნდა ჩატარდეს ჩვენი სოფლის მახლობლად ?	ნიგოზეთი, სვერი, სუფსა
	სად მდებარეობს მილსადენის ახალი მონაკვეთები?	კორბოული, მამკოდა, მანდაეთი
	ვინ ახორციელებს მილსადენის მშენებლობას?	მამკოდა
	იგეგმება ახალი მისასვლელი გზების მშენებლობა?	წყალწმინდა
	მოხდება დასახლებების შიდა გზების გამოყენება თქვენს მიერ?	ნიგოზეთი
	რა ტიპის საცხოვრებელით იქნება უზრუნველყოფილი მუშახელი და სად?	სოფელი გლდანი, კორბოული
	რა ტიპის ლიცენზიაა საჭირო შესასრულებელი სამუშაოებისთვის?	მანდაეთი
	ახალი მონაკვეთი მდინარე სუფსასთან ახლოს მდებარეობს? როგორ მოხდება მდინარის გადაკვეთა?	წყალწმინდა
	როდის დაიწყება/დასრულდება მშენებლობა?	კორბოული, მამკოდა, მანდაეთი
ეკოლოგია	რა სახის ზემოქმედებაა მოსალოდნელი ეკოლოგიასა და ბუნებრივ გარემოზე?	სოფელი გლდანი, მამკოდა
	როგორ იმოქმედებს მილსადენი ეკოლოგიაზე ამ ადგილას, წიაღისეულის მოპოვებასთან შედარებით?	ნიგოზეთი
ინფრასტრუქტურა: გზები	მშენებლობის დაწყებამდე მოხდება გზების შეკეთება/მშენებლობა?	მამკოდა, მანდაეთი
	მძმე ტექნიკა დააზიანებს არსებულ გზებს?	მამკოდა
	გომიდან მომავალი გზა მესამე კატეგორიისაა და არ არის გამოსადეგი HGV-ებისთვის. გზის დაზიანების შემთხვევაში რას მოიმოქმედებთ?	კორბოული
	იმ კონტრაქტორებთან, რომლებმაც გადაანაცვლეს მილი, ურთიერთობის ძალიან ცუდი გამოცდილება გვაქვს მიღებული წარსულში; მათ დააზიანეს გზები.	მამკოდა
	ვინ იქნება პასუხისმგებელი გზების დაზიანების შემთხვევაში?	მანდაეთი

საკითხი	შეჯამებული შენიშვნები და კითხვები	კითხვის ავტორის ადგილმდებარეობა
	გზით სარგებლობისას მოსალოდნელია შეზღუდვები?	მამკოდა
ინფრასტრუქტურა: შენობები	თუ გზა გადის საბავშვო ბაღთან, ზემოქმედება მასზე შეფასებულია?	სოფელი გლდანი
	ჩვენ სკოლას აქვს ძველი და ახალი შენობა. შესაძლოა შენობების დაზიანება მძიმე ტექნიკის გადაადგილებით?	სოფელი გლდანი
ინფრასტრუქტურა: კომუნალური მომსახურებები	წარსულში ჩვენი სოფლის წყალმომარაგების სისტემა დაზიანდა მძიმე ტექნიკით, რომელიც მოძრაობდა გზაზე და ჩვენ დიდი ხნის მანძილზე არ მოგვეწოდებოდა წყალი. შესაძლოა ეს კიდევ მოხდეს?	სოფელი გლდანი
დასაქმება	ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის არსებობს დასაქმების შესაძლებლობა?	კორბოული, მანდაეთი, სუფსა, სოფელი გლდანი
	შეგიძლიათ დაგვეხმაროთ იმიგრაციის შეჩერებაში? სამუშაოს სიმცირის გამო ადამიანები ტოვებენ სოფელს.	სვერი
	გლდანში ყველას ექნება დასაქმების შესაძლებლობა თუ მხოლოდ გარკვეულ რაიონებს?	სოფელი გლდანი
	რა ტიპის სამუშაო ადგილები იქნება ხელმისაწვდომი და რა სახის ცოდნა ან უნარები იქნება საჭირო სამუშაოს შესასრულებლად?	სვერი, სოფელი გლდანი
	დასაქმებისთვის განაცხადის წარდგენის პროცესი როგორი იქნება და ვის უნდა მივმართოთ?	მანდაეთი, ხიდმაღალა
	როგორ მოხდება პოტენციური დასაქმებულების შემოწმება უსაფრთხოების თვალსაზრისით?	სვერი
	წუხილი იმის შესახებ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება მხოლოდ არაკვალიფიციური სამუშაოს შესასრულებლად, რამდენადაც მათ არ აქვთ შესაბამისი დანადგარების ექსპლუატაციისთვის საჭირო კვალიფიკაცია.	ხიდმაღალა
მიწის შეძენა	კერძო საკუთრებაზე/მიწაზე ზემოქმედება მოსალოდნელია?	მამკოდა
	როგორ მოხდება მიწის მესაკუთრეებისთვის კომპენსაციების გადახდა?	ნიგოზეთი
	მიწის კომპენსირების დეტალები კოვიდენციალური იქნება?	გლდანი

საკითხი	შეჯამებული შენიშვნები და კითხვები	კითხვის ავტორის ადგილმდებარეობა
საარსებო წყაროები	მილსადენის ზევით რომელი მცენარეების კულტივირება არის შესაძლებელი?	უსახელო
	სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვა ზეგავლენას მოახდენს მილსადენზე?	ნიგოზეთი
	აპირებთ ჩვენი ქვის კარიერის გამოყენებას?	მანდაეთი
საზოგადოებასთან ურთიერთობა	წელს კიდეც არის დაგეგმილი შეხვედრები?	კორბოული
	შენიშვნებით ვის უნდა მივმართოთ?	მანდაეთი, უსახელო
დასახლებების ჯანდაცვა, უსაფრთხოება და უშიშროება	ჩვენ თავდაპირველად გვითხრეს, რომ WREP-ის ექსპლუატაციის პერიოდი არის 20 წელი. ეს პერიოდი გაიზარდა? რა მდგომარეობაშია მილსადენი ამჟამად?	შომახეთი
	მილსადენის რომელიმე ახალი მონაკვეთი კვეთს მიწყერს ან გადის მეწყერის ახლოს? რა ღონისძიებები გატარდება ჩვენი დასახლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად?	მამკოდა
	ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ 2008 წლის კონფლიქტის დროს მილსადენი შესაძლოა ყოფილიყო სამიზნე. შესაძლოა ეს მომავალში მოხდეს?	ბერეთისა
	რა ზემოქმედებას მოახდენს მილსადენი ჩვენ დასახლებაზე?	სოფელი გლდანი
	რა მანძილითაა დაშორებული მილსადენი ჩვენი სოფლიდან? გამოიწვევს მშენებლობა ხმაურს?	გლდანი
	შეწუხებული ვართ იმით, რომ შესაძლოა მშენებლობის დროს შეიქმნას გარკვეული დაბრკოლებები.	მამკოდა
	ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები; ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ონკოლოგიური დაავადებების შემთხვევების რაოდენობის ზრდა შეიძლება იყოს კავშირში არსებულ მილსადენებთან	შომახეთი
	რა მოხდება საგზაო შემთხვევისას?	მამკოდა
	გაიზრდება სატრანსპორტო მოძრაობა?	კორბოული
ინვესტიციები დასახლებებისთვის	დაეხმარებით ჩვენ დასახლებას? თუ დაეხმარებით, რა სფეროებში? ყველაზე ხშირი იყო გზის და სკოლის შეკეთების მოთხოვნები.	მანდაეთი, მამკოდა, უსახელო, ნიგოზეთი, სვერი
	თქვენ შეაკეთებთ მხოლოდ იმას, რასაც დააზიანებთ თუ დააზიანებთ ჩვენ სოფელში სხვა ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებასაც?	სვერი
	დასახლებების ინვესტიციებთან დაკავშირებით ვის შეიძლება მივმართოთ?	სვერი, წყალწმინდა

9.7 კონსულტაციები ESIA-ს ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით

ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული კონსულტაციები განხორციელდა ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების (HGA), მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ESIA ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები მომზადდა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

9.7.1 ინფორმაციის განსაჯაროება

ინფორმაციის განსაჯაროებასთან დაკავშირებით ეფექტური კონსულტაციების ხელშესაწყობად, BP-მ უზრუნველყო შემდეგი:

- ESIA-ს ანგარიში (და დაკავშირებული დოკუმენტები) გამოქვეყნდა ქართულ და ინგლისურ ენებზე და მოიცავდა არატექნიკურ რეზიუმეს, რომელიც თავისუფლად იყო ხელმისაწვდომი
- ESIA-ს ანგარიში სრულია და მასში თანაბრადაა ასახული შემოთავაზებული WREP-SR პროექტის დადებითი და უარყოფითი ზემოქმედება
- მოცემულ დოკუმენტში დასახელებულ დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდათ ინფორმაცია ESIA-ს ანგარიშის გამოქვეყნებისა და ასევე იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გაეცნონ მის ასლს და მოიპოვონ არატექნიკური რეზიუმეს ასლები. მათ მიეცათ საკმარისი დრო, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში განიხილონ შემოთავაზებები და ჩამოაყალიბონ პასუხები.

ინფორმაცია ESIA-ს პროცესის, ESIA-ის ანგარიშის ხელმისაწვდომობისა და კონსულტაციების შესახებ გამოქვეყნებამდე განთავსდა შემდეგი საინფორმაციო წყაროებისა და სხვა მექანიზმების მეშვეობით:

- შეტყობინებები რეგიონულ გაზეთებში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება გაზეთებზე, რომლებიც მიმოქცევაშია იმ მუნიციპალიტეტებში/ქალაქებში, სადაც შემოთავაზებულია WREP-SR პროექტის ღონისძიებების განხორციელება
- WREP-SR პროექტის ელექტრონულ მონაცემთა ბაზები
- დასახლებების განცხადებების დაფები
- საჯარო ინფორმაციის მონიტორები შერჩეულ ადგილებზე, პროექტის მთავრი საქმიანობის განხორციელების ადგილების მახლობლად
- ბუკლეტები და პოსტერები.

პრესაში გამოქვეყნებული შეტყობინება მოიცავდა შემდეგ ინფორმაციას:

- სახელწოდებას, მიზნებსა და განვითარების ადგილს
- მისამართს, სადაც დაინტერესებულ მხარეებს შეეძლებათ ESIA-ს ანგარიშისა და დაკავშირებული მასალების მოპოვება/წაკითხვა და ასევე სახელსა და მისამართს, რომელზეც შენიშვნები უნდა იქნეს გაგზავნილი
- შენიშვნების ჩაბარების საბოლოო ვადები
- საჯარო შეხვედრის დრო და ადგილი.

ESIA-ის ანგარიშის პროექტი (და თანმხლები დოკუმენტები) ხელმისაწვდომი იყო საზოგადოებრივი თავშეყრის კონრეტულ ადგილებში იმგვარად, რომ დაინტერესებულ მხარეებს მათი გაცნობისა და შენიშვნების უზრუნველყოფის შესაძლებლობა ჰქონოდათ. ასეთი ადგილები მოიცავდა:

- რეგიონული და ქალაქის მთავრობის ოფისებს თბილისში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში (რუსთავი), იმერეთში (ქუთაისი), გურიაში (ოზურგეთი)
- მუნიციპალურ ოფისებს გარდაბანში, თბილისში (გლდანი-ნამალადევი), მცხეთაში, საჩხერეში, ჭიათურაში და ლანჩხუთში
- თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკას.

ამასთან, განსაკუთრებით PAC-ების დასახმარებლად, ESIA-ს არატექნიკური რეზიუმე (NTS) ხელმისაწვდომი იყო თითოეული ტერიტორიული ორგანოს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლების ოფისებში და ყველა ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებაში წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში. ასევე ხელმისაწვდომი იყო გამოხმაურების ფორმები, რითიც შესაძლებელი იყო ESIA-ს ანგარიშთან/არატექნიკურ რეზიუმესთან დაკავშირებით მათი შენიშვნების მიღება და განხილვა ინფორმაციის გამოქვეყნების პერიოდში.

და ბოლოს, ESIA-ს ანგარიშის პროექტი, არატექნიკური რეზიუმე და სხვა თანმხლები დოკუმენტები ხელმისაწვდომი იყო ვებგვერდებზე www.bp.com/caspian და www.bpgeorgia.ge (ანგარიშების და პუბლიკაციების განყოფილება).

9.7.2 საჯარო განხილვის გამოცხადება

საჯარო განხილვის პერიოდი დაიწყო 2016 წლის 12 აპრილს; განცხადებები განთავსდა ნაციონალური, რეგიონული და მუნიციპალური დონის მედია საშუალებებში (იხ. ცხრილი 9-6). განცხადებებში მითითებული იყო ინფორმაცია საჯარო განხილვის პერიოდის (45 დღე), ESIA დოკუმენტაციის განთავსების ადგილის, ძირითადი საჯარო შეხვედრების თარიღების და გამოხმაურების მექანიზმების შესახებ (იხ. დანართი C1).

ცხრილი 9-6: განცხადებები ESIA-საჯარო განხილვების შესახებ

გაზეთის დასახელება / ვებგვერდი	გამოქვეყნების თარიღი	საპროექტო ტერიტორია	გაზეთის გავრცელების არეალი
რეზონანსი	11/4/16	ნაციონალური / თბილისი	ნაციონალური
კვირის პალიტრა	11/4/16		ნაციონალური
მცხეთა-მთიანეთი საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდი	11/4/16	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა-მთიანეთი
ალიონი	11/4/16		საჩხერე
ჭიათურა	11/4/16	ჭიათურა	ჭიათურა
ახალი გაზეთი	11/4/16		იმერეთის რეგიონი
გურიის მოამბე	11/4/16	ლანჩხუთი	ლანჩხუთი, ოზურგეთი და ნაციონალური დონე
ლანჩხუთი პლიუსი	12/4/16		ლანჩხუთი
თრიალეთის ექსპრესი	11/4/16	გარდაბანი	გარდაბანი (სპეციალური გამოცემა)

გარდა ამისა, განცხადებები გამოქვეყნდა ESIA-ს და NTS-ის ყველა ასლთან ერთად.

9.7.3 გამოხმაურების მექანიზმები

დაინტერესებულ მხარეებს ქონდათ წვდომა ESIA-ს ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით გამოხმაურების მიწოდების შემდეგ მექანიზმებთან:

- გამოხმაურების ფორმები დარიგდა ESIA-ს და NTS-ის ყველა ასლთან ერთად და ხელმისაწვდომი იყო ზეგავლენის ქვეშ მყოფ ყველა დასახლებაში. გამოხმაურების ფორმების BP-ს ოფისში დაბრუნება შესაძლებელი იყო ფოსტით ან შევსებული ფორმების გადაცემა შეიძლებოდა BP-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებისთვის, რომლებიც საჯარო განხილვის პერიოდში რეგულარულად სტუმრობდნენ ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებს
- საქართველოში BP-ს ოფისის ტელეფონის ნომერი მითითებული იყო ESIA-ში, NTS-სა და დასახლებებისთვის მომზადებულ ბროშურებში
- სპეციალური ელექტრონული ფოსტის მისამართი მითითებული იყო ESIA-ში, NTS-სა და BP-ს ვებგვერდზე
- გამოხმაურების ფორმის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომი იყო BP საქართველოს ვებგვერდზე, როგორც ინგლისურ ასევე ქართულ ენებზე. ფორმის შევსება და გადაგზავნა შესაძლებელი იყო ელექტრონულად
- ჩატარდა ექვსი საჯარო შეხვედრა, სადაც დაინტერესებულ მხარეებს მიეცათ შესაძლებლობა დასწრებოდნენ და თავისი მოსაზრებები გამოეთქვათ უშუალოდ ESIA-ს გუნდისთვის.

9.7.4 საჯარო განხილვასთან დაკავშირებული კონსულტაციები - საჯარო შეხვედრები

კონსულტაციები გაიმართა ძირითადად შემდეგ საჯარო შეხვედრებზე, რომლებიც ორგანიზებული იყო BP-ს მიერ თბილისში და საპროექტო სამუშაოებთან ახლო მდებარე ტერიტორიებზე არსებულ საკვანძო ადგილებში. შეხვედრის თარიღები და დროები მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 9-7):

ცხრილი 9-7: ESIA-სთან დაკავშირებული საჯარო შეხვედრები

საჯარო შეხვედრები	თარიღი	დრო	შენობა
საჩხერე	01.06.2016	11:00	გამგეობის ადმინისტრაციული შენობა
ჭიათურა	01.06.2016	14:00	გამგეობის ადმინისტრაციული შენობა
ლანჩხუთი	02.06.2016	11:00	გამგეობის ადმინისტრაციული შენობა
მცხეთა	06.06.2016	11:00	გამგეობის ადმინისტრაციული შენობა
გარდაბანი	07.06.2016	11:00	გამგეობის ადმინისტრაციული შენობა
თბილისი	08.06.2016	12:00	საქართველოს ეროვნული მუზეუმი

საქართველოს კანონის შესაბამისად, აღნიშნული შეხვედრები ჩატარდება არანაკლებ 50 და არაუგვიანეს 60 დღისა საინფორმაციო საშუალებებში შეტყობინების გამოქვეყნების შემდეგ. ამ შეხვედრებისთვის დრო შეირჩა იმგვარად, რომ საზოგადოების წევრებს დასწრების შესაძლებლობა ჰქონდეთ.

თითოეული შეხვედრის დღიდან 5 დღის განმავლობაში, BP-მ მოამზადა შეხვედრაზე ყველა მიღებული წერილობითი თუ ზეპირი შენიშვნების მოკლე მიმოხილვა. ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მომზადებისას, BP-მ განიხილა ეს შენიშვნები იმ დამატებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც მიღებული იქნა სხვა საკონსულტაციო მექანიზმების მეშვეობით; ESIA-ს ანგარიშის პროექტში მოთხოვნისამებრ შეტანილი იქნა შესწორებები.

კონსულტაციის შედეგები და პასუხები წარმოდგენილია დანართ C2-ში.

9.8 კონსულტაციების შედეგების მონიტორინგი

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგების აღრიცხვა და სტრუქტურირებული „შენახვა“ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ კონსულტაციების შედეგების გაცნობა შესაძლებელი იყოს ESIA-ს პროცესსა და საპროექტო სამუშაოებში ჩართული ყველა მხარისთვის.

დაინტერესებულ მხარეების მონაცემთა ბაზა ცენტრალურ სერვერზე იყო დაპროექტებული და განლაგებული. შემუშავდა პროტოკოლი მონაცემთა შევსების მართვისათვის და მათ შორის, საკვანძო ESIA-ისა და პროექტის გუნდის წევრებისთვის ნებართვების დასაშვებად, რომლებიც აუცილებელია მონაცემების მისაღებად და მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შესასწორებლად.

9.9 ESIA-ს შემდგომი კონსულტაციები და მოლაპარაკებები დაინტერესებულ მხარეებთან

ESIA-ის ფარგლებში წარმოებული კონსულტაციების დროს, მოძიებული იქნა რჩევა და სახელმძღვანელო მითითებები იმ პრინციპებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნას საკონსულტაციო პროცედურების შემუშავებასა და განხორციელებისთვის ESIA-ს ანგარიშის შემდგომ ფაზაში, რომელიც სავარაუდოდ, დამტკიცდება. დაინტერესებულ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები გამოყენებული იქნება, როგორც საფუძველი შემოთავაზებული საკონსულტაციო ბაზისა და მექანიზმებისთვის, რომლებიც წარმოდგენილი იქნება საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმაში (PCDP).

საჯარო განხილვის პერიოდის დასრულების შემდეგ, 2016 წლის 23 ივნისს ხეების ინვენტარიზაციის მეთოდოლოგიის და საქართველოს წითელი ნუსხის და CITES-ის სახეობების მოჭრის შემთხვევაში შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებების შესათანხმებლად ჩატარდა შეხვედრა ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან და ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურთან. ხეების ინვენტარიზაციის შეთანხმებული მეთოდოლოგია წარმოდგენილია ქვეთავში 7.7.4, ხოლო შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები ქვეთავში 10.7.4.